# საზოგადოებრივი აზრის შესწავლის პრინციპების საკითხისადმი

***კოკა კუტუბიძე***
*სტუ-ს პროფესორი*

***ზურაბ რუხაია***
*სტუ-ს დოქტორანტი*

**რეზიუმე**

წინამდებარე სტატიაში განხილულია საზოგადოებრივი აზრის პრინციპები სამართალდამცავი ორგანოების ეფექტურობის პრობლემების შესწავლისას. სტატიაში გამოყოფილია მნიშვნელოვანი პრინციპები, რომელიც მოიცავს მრავალ ინდიკატორს. ეს პრინციპებია: რესპოდენტების სამართლებრივი ორიენტაციის პრინციპი, უფლებების უზრუნველყოფნის სამართლებრივი ფორმებისადმი დამოკიდებულება, უფლებების პრესტიჟულობის პრინციპი, დანაშაულთან ბრძოლის ზომებისადმი დამოკიდებულების პრინციპი, სამართალდამცავი ორგანოების დანაშაულებრიობასთან ბრძოლაში თანამშრომლების ჩართულობა, დასჯის სხვადასხვა სახეიბის ეფექტურობის შეფასების პრინციპი, კრიმინალიზაციის და დემოკრატიზაციის პრინციპი, ორგანოების თანამშრომელთა სამართლებრივი ორიენტაციის პრინციპი, სამართლებრივი დადგენილებების განსაზღვრის პრინციპი. ყველა ამ პრინციპს დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი აზრის თანამედროვე მდგომარეობის შესწავლისას. თითეული პრინციპი გახილულია თანამედროვე თვალსაზრისით და სტატის ავტორის თვალთახედვით.

**საკვანძო სიტყვები:** საზოგადოებრივი აზრის, მნიშველოვანი პრინციპები, კრიმინალიზაცია, სამართლებრივი ორიენტაცია, სამართლებრივი დადგენილებები, სამართალდამცავი ორგანოები.

## ON THE QUESTION OF THE PRINCIPLES OF THE STUDY OF PUBLIC OPINION

**Koka Kutubidze**
Professor of GTU
**Zurab Rukhaia**
Phd student of GTU

**RESUME**

This article discusses the principles of public opinion in studying the problems of the effectiveness of law enforcement agencies. The article outlines important principles that cover many indicators. These principles are: the principle of the legal orientation of the respondents, the attitude towards the legal forms of securing rights, the principle of the prestige of rights, the principle of dependence on anti-crime measures, the involvement of law enforcement officers in the fight against crime, the principle of evaluating the effectiveness of different types of punishment, the principle of criminalization and democratization, the principle of the legal orientation of the employees of the government agencies, the principle of defining the legal ordinance. All these principles are of great importance in the study of the modern state of public opinion. Each principle is discussed from a modern point of view and the point of view of the author of the article.

**Keywords**: public opinion, important principles, criminalization, legal orientation, legal ordinances, law enforcement agencies.

## შესავალი

სოციალური პროცესების გართულების, მოსახლეობის მობილობის განვითარების, საზოგადოების ძველი ფორმების გაქრობისა და ახალი ფორმების ჩამოყალიბების პირობებში აუცილებელია სახელმწიფო კონტროლის ეფექტურობის გაზრდა. ამ ამოცანის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამართალდამცავი ორგანოების რთულ სამსახურს და მათ მიერ ეფექტური შედეგების მიღებას.

იმისათვის, რომ იურიდიულმა მეცნიერებამ ხელი შეუწყოს სამართალდამცავი ორგანოების სამსახურის განვითრებას, აუცილებელია არსებული ინდიკატორების სრულყოფა და კომპლექსური მაჩვენებლების სისტემის შემუშავება, რომელიც საშუალებას იძლევა მრავალმხრივ აწარმოოს სამართალდამცავი ორგანოების მოღვაწეობის აღრიცხვა და ამ მოღვაწეობის ეფექტურობის შეფასება.

სამართლდამცავი ორგანოების მოღვაწეობის ეფექტურობის მაჩვენებლების კვლევის რიცხვს მიეკუთვნება საზოგადოებრივი აზრის გამოვლენა, რომლის მეშვეობით შეიძლება შეგვექმნას წარმოდგენა იმ კონკრეტული მიზნების რეალურ სურათზე, რომლებიც დასახულია კანონმდებლების მიერ სამართალდამცავი ორგანოების წინაშე.

## ძირითადი ნაწილი

საზოგადოებრივი აზრი სამართალდამცავების შესახებ - რთული მოვლენაა, რომელიც მოიცავს მრავალ ინდიკატორს. ამიტომ მოცემული ფენო-

მენის ანალიზი უნდა ეფუძნებოდეს პრინციპების მთელ სერიას:

1. ყველაზე მნიშვნელოვანი არის რესპოდენტების სამართლებრივი ორიენტაციის პრინციპი. სამართალდამცავი ორგანოების მოღვაწეობის ეფექტურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ფასეულია უფლება სამართალდამცავი ორგანოების თანაშრომლისათვის და რა დამოკიდებულება აქვს მას კანონის მოქმედების პრინციპებთან. მარავალი მეცნიერი ამ პრინციპს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. და ეს არ არის შემთხვევითი. სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელმა შეიძლება დაუშვას შეცდომა თავის მოქმედებებში და ეს ახსნას ამ დარღვევის არცოდნით. ამის შედეგად შეიძლება მოხდეს მოქალაქეების უფლებების დარღვევა, მათი თავისუფლების შებღალვა და ა.შ. მაგალითად, კანონის პრეზუმციის პრინციპის ხშირმა დარღვევამ აშშ-ში, იაპონიასა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში გამოიწვია უარყოფითი დამოკიდებულება სამართალდამცავი ორგანოების მიმართ. საზოგადოება ითხოვდა მასმედიიდან ნორმებისა და სიტუაციების ობიექტურ ასახვას. შეიქმნა დანაშაულთან ბრძოლის საზოგადოებრივი ორგანიზაცია და ა.შ.

სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის სამართლებრივი ორიენტაციის პრინციპზე გავლენას ახდენს არა მარტო ამ სისტემაში სამართლებრივი ორიენტაციის დონე, არამედ მოსახლეობის დამოკიდებულება მოცემული პრინციპისადმი. არ არის შემთხვევითი, რომ სტიგმატიზაციის ამერიკულმა თეორიამ გამოყო საზოგადოებრივი აზრის დეფორმაციის გავლენის ტენდენცია სამართალდამცავი ორგანოების ქმედებებზე. უნდა აღინიშნოს, რომ სამართალდამცავი ორგანოების მოღვაწეობის ეფექტურობის დონეზე გავლენას ახდენს თვით მსრჯავრდებულთა/დამნაშავეთა/ სამართლებრივი ორიენტაცია. კრიმინალოგიური კვლევების მიერ დაადგენილია, რომ დამნაშავეების უმეტესი ნაწილი ამართლებს თავიანთ ქმედებებს იმით, რომ არ იცოდნენ კანონი. ამიტომაც ისინი თვლიან, რომ სამართალდამცავი ორგანოების ქმედებები სასტიკი და უსაფუძვლოა.

2. შემდეგი მნიშვნელოვანი პრინციპი არის უფლებების უზრუნველყოფნის სამართლებრივი ფორმებისადმი დამოკიდებულება. საერთაშორისო ორგანიზაცები, აგრეთვე რიგი გამოჩენილი კრიმინოლოგები მივიდნენ დასკვნამდე, რომ საზოგადოებრივ აზრში პროცესუალური დებულებების გაგების დონე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად უზრუნველყოფილია დაცვის მიერ მსრჯავდებულის უფლება. ამსთან დაკავშირებით გამოიყოფა მიმართულებათა კომპლექსი, რომლის მიხედვით ხდება საზოგადოებრივი აზრის რალიზება.

უპირველეს ყოვლისა საყურადღებოა ის ფაქტი, რომ დაცვის მიერ უფლების უზრუნველყოფის დონე ბევრად დამოკიდებულია ჯგუფურ/საზოგადოებრივ აზრზე/ მსრჯავრდებული/ეჭვმიტანილის გარემოცვაზე. ბევრ შემთხვევაში მსრჯავდებულის ახლო მეგობრები სამართალდამცავი ორგანოების ქმედებებს აღიქვამენ ისევე, როგორც თვით მსრჯავდებული/დაზარალებული/. სამართალდამცავი ორგანოების ქმედების მცირედი დარღვევაც კი საზოგადოების მიერ აღიქმება მწვავედ. შეიძლება ითქვას, რომ აქ მოქმედებს ჯგუფური აზრი.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის თვით დამცველის მონაწილეობა. ამ შემთხვევაში საზოგადოებრივი აზრის შეცვლის სტიმულს წარმოადგენს სამართალდამცავი ორგანოების და დამცველის ქმედებების ურთიერთ- დამოკიდებულებას. კრიმინოლოგიურ კვლევებში დამტკიცებულია, რომ მათი ურთიერთდამოკიდებულება მსრჯავდებულის უფლებების უზრულველყოფის საქმეში ცვლის საზოგადოებრივ აზრში ფასეულობების სტრუქტურას.

ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ მსრჯავდებულის უფლებების განხორციელების დონეზე გავლენას ახდენს თვით საზოგადოებრივი აზრი. მნიშვნელოვანი პროცესები მრავალ ქვეყანაში ყოველთვის იწვევს სოციალურ მოძრაობას, საინფორმაციო საშუალებების აქტიურობას და ა.შ., რაც გავლენას ახდენს სამართალდამცავი ორგანოების ქმედებებზე. ამგვარად, უფლებების უზრუნველყოფის სამართლებრივი ფორმებისადმი დამოკიდებულება არის მოვლენა, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ როგრც პრინციპიალური დებულება.

3. აგრეთვე მნიშვნელოვანია უფლებების პრესტიჟულობის პრინციპი ჩვენი ამოცანების გადაწყვეტისათვის. კრიმინოლოგიურ კვლევებში ეს პრინციპი გამოიყენება რამოდნიმე მიმართულებით. უპირველეს ყოვლისა გამოიყენება თვითშეფასების მეთოდი. მაგალითად, კრიმინოლოგმა გ. ტოხმა ჩაატარა შემდეგი კვლევა. პოლიციელები ერთმანეთს უსვამდენ კითხვებს ძალადობის შესახებ, რომელსაც ადგილი ქონდა მათ მუშაობაში. აქ უფლების პრესტიჟი შეისწავლებოდა არა უშალოდ, არამედ ირიბად, ანუ შეისწავლებოდა იმ ინდივიდის პიროვნული ორიენტაცია, რომელიც ოფიციალურად ასრულებდა კანონის მოთხოვლიბებს. მოცემული პრინციპის მეორე ასპექტს წარმოადგენს უფლების პრესტიჟულობის შესწავლა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის პიროვნების ანალიზის მეშვეობით. მესამე მიმართულებას წარმადგენს იურიდიული პროფესიისადმი პრესტიჟული დამოკიდებულების შესწავლა. უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით იურიდიული პროფესიის სოციალური მნიშვნელობა არის განსაკუთრებული ინდიკატორი, რომლის მეშვეობით მეცნიერები შეისწავლიან მოქალაქეთა დამოკიდებულებას უფლებისადმი.

4. შემდეგი პრინციპი არის დანაშაულთან ბრძოლის ზომებისადმი დამოკიდებულება. დემოკრა-

ტიულ სახელმწიფოებში ის წარმოიქმნა, როგორც საზოგადოების განვითარების ბუნებრივი შედეგი. პოლიციის ორგანოები მოსახლეობასთან ერთად განახორციელებენ პატრულირებას ქალაქებში,მოსახლეობა დამოუკიდებლად იწყებს ინფორმაციის შეგროვებას და ა.შ. მეტნაკლებად ეს ფაქტები მოწმობს საზოგადოებრივი აზრის შედეგებზე და არა თვით აზრზე. ამიტომაც საზოგადოებრივი აზრი დანაშაულთან ბრძოლის ზომების შესახებ - დამოუკიდებელი მიმართულებაა.

დანაშაულთან ბრძოლის ზომებთან სოლიდარობა მოწმობს მართლწესრიგის გამყარებაზე. და პირიქით, ამ ზომებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება კი მიუთითებს დანაშაულთან ბრძოლის სერიოზულ ნაკლოვანებებზე. ეს ზოგადი შეფასება შესაძლოა გაკეთდეს არა მხოლოდ მოსახლეობის მიერ, არამედ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერადაც.

დანაშაულთან ბრძოლის ზომების შეფასება, რომელსაც აკეთებს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები, შეიძლება შეეხოს ორგანოების მუშაობის სხვადასხვა ასპექტებს. მაგრამ პრინციპული რჩება ის ფაქტი, რომ სამართალდამცავი ორგანოების დამოკიდებულება დანაშაულთან ბრძოლაში, არის იმ სიტუაციის თავისებური ინდიკატორი, რომელიც არსებობს თვით ორგანოებში.

საზოგადოებრივი აზრის მოცემული ფორმა მიუთითებს სამართალდამცავი ორგანოების ავტორიტეტზე მისივე თანამშრომლების თვალში და ამ ორგანოების ეფექტურობაზე ხელისუფლების სისტემაში. აქვე უნდა ავღნიშნოთ მოსახლეობის დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ. ამგვარად, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების შეფასებებს შესაძლოა ქონდეთ სერიოზული მნიშვნელობა საზოგადოებრივი აზრის ბუნებისა და მისი მიმართულების განსაზღვრისას. პინიტენციალური დაწესებულებების შეფასებები ორმაგ ზემოქმედებას განიცდის: მოქალაქეების საზოგადოებრივი აზრის და მსჯავდებულთა აზრის. ამიტომ მიღებული ინდიკატორები უნდა გამოიყოს, როგორც განსაკუთრებული მიმართულება. სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების შეფასებების სოციალური განხილვა არ გამორიცხავს, არამედ პირიქით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოქალაქეთა შეფასებებს.

მოქალაქეთა საზოგადოებრივი აზრი განსაზღვრავს თანამშრომელთა შეფასების ძირითად პარამეტრებს, რადგანაც ისინი გამომდინარეობს საზოგადოებაში არსებულ აზრიდან. მოქალაქეთა საზოგადოებრივი აზრი კი გავლენას ახდენს თანამშრომლის გარემოცვის აზრზე. საბოლოოდ, თვითონ თანამშრომლებს საზოგადოებრივი აზრის ეტალონებიდან გამომდინარე კორექტირება შეაქვთ თავიანთ მოქმედებებში.

5. მნიშვნელოვანია სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების ჩართულობა დანაშაულებრიობასთან ბრძოლაში. ქართველი კრიმინოლოგების კვლევები გვიჩვენებს, რომ სრტუქტურაში, რომლშიც მუშაობს თანამშრომელი, პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს მის შეფასებებზე. მაგალითად, შეფასებები, რომლემსაც აკეთებს ორგანიზებულ დანაშაულთან მებრძოლი სამართველოს თანამშრომელი, განსხვავდება შეფასებებიდან, რომელსაც იძლევა სხვა სამართველოს თანამშრომელი, განსხვავებული აზრი აქვთ აგრეთვე მოსამართლეებსდა ა.შ.

სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მონაწილეობა დანაშაულებრიობასთან ბრძოლაში არის მათი პირდაპირი ამოცანა. იმის და მიხედვით თუ როგორ აქვს თანამშრომელს გათავისებული მისი მონაწილეობა დანაშაულებრიობასთან ბრძოლაში და მისი მოსახლეობისადმი დამოკიდებულებაზე. ეს ფაქტორი განსაკუთრებით მჟღავნდება ორგანიზებულ დანაშაულებრიობასთან ბრძოლაში.აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი აზრი ზოგადად განსაკუთრებულად რეაგირებს იმაზე, თუ როგორ ესმის თანამშრომელს დანაშაულთან ბრძოლისადმი თავისი დამოკიდებულება. ეს შეიძლება გამომჟღავნდეს როგორც ნეიტრალურ, აგრეთვე აქტიურ ქცევაში.

6. განვიხილოთ დასჯის სხვადასხვა სახეიბის ეფექტურობის შეფასების პრინციპები. დასჯა, როგორც ცნობილია, არის სახელმწიფო იძულების ზომა. ამიტომ დასჯის ზომების ეფექტურობის შეფასება აღნიშნავს სახლმწიფო იძულების შეფასებას, სახელმწიფოს პოლიტიკას ამ სფეროში.

თანამედროვე ეტაპზე დასჯის სისტემაში ცვლილებების შეტანა იწვევს შეფასებების სტრუქტურის შეცვლას. სიკვდილით დასჯის ამორიცხვა დასჯის ჩამონათვალიდან, ზემოქმედების იმ ზომების გაძლიერება, რომლებიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან და ა.შ. მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დანაშაულისადმი დამოკიდებულებაზე. მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით გამოკვლეული იყოს არა მარტო მოქალაქეების, არამედ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა აზრიც. აღნიშნული საკითხის ამგვარად დაყენება აქტუალურია.

არჩეულმა ინდიკატორებმა უნდა ასახონ არა მარტო დამოკიდებულების ზოგადი, არამედ დიფერენცირებული ტენდენციებიც. მათ მიეკუთვნება ინდიკატორების სამი ჯგუფი, ესენია: თავისუფლების აღკვეთა, თავისუფლების შეზღუდვა და ზომები, რომლებიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან. ვფიქრობთ, რომ ასეთი ანალიზი დაგვეხმარება სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა სახელმწიფოებრივი იძულებისადმი დამოკიდებულების მთავარი დამახასიათებელი თვისებების გარკვევაში.

7. აგრეთვე გათვალისწინებული უნდა იყოს კრიმი-

ნალიზაციის და დემოკრატიზაციის პრინციპი. კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში, ამ საკითხს მეცნიერები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. ამავდროულად საზოგადოებრივი აზრი ითვლება კრიმინალიზაციის სოციალურ-ფსიქოლოგიურ პრინციპად. და ეს არ არის შემთხვევითი, რადგანაც კრიმინალიზაციის სახელმწიფო შეფასებები განსხვავდება იმ შეფასებებიდან, რომელსაც მოსახლეობა იძლევა. ანალოგიური სხვაობა შეინიშნება სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა შეფასებებშიც.

კრიმინალიზაციის /დემოკრატისაციის/ პრინციპის გამოყენებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ორი საკითხი. პირველი მათგანი მიეკუთვნება გამაფრთხილებელი ზომების ეფექტურობას. მეორე კი - დასჯის სიმკაცრის გათვიცნობიერებას. ეს ორი საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. თუ თანამშრომელი ითხოვს მკაცრ დასჯას, მაშინ ის, რა თქმა უნდა, უარყოფითად აფასებს გამაფრთხილებელი ზომების ეფექტურობას. მეორეს მხრივ, თუ კი ეს დამოკიდებულება პოზიტიურია პრევენციული ზომების მიმართ, მაშინ ის უარყოფითად აფასებს დასჯის სიმკაცრეს. ამგვარად, აქტიურობა, რომელიც ჩანს შეფასებებში, დამოკიდებულია განსაზღვრულ კანონზომიერებებზე.

8. განვიხილოთ სამართალდამცავ ორგანოების თანამშრომელთა სამართლებრივი ორიენტაციის პრინციპი. როგორც ცნობილია, სამართალდამცავი ორგანოების თამამშრომლებს მოეთხოვებათ კანონის ზედმიწევით ზუსტი ცოდნა, რადგანაც ბევრი მათგანი იურისტია. იმავდროულად ეს არ ნიშნავს იმას, რომ რესპოდენტებს არ გააჩნიათ საკუთარი დამოკიდებულება ოფიციალური დებულებების მიმართ. ამგვარად, თანამშრომელთა შეფასებებში შეიძლება აღინიშნოს ორმაგი დამოკიდებულება, როგორც ოფიციალური პირის და როგორც მოქალაქის, ამიტომ შესაძლებელია შეფასებები არ დაემთხვეს ერთმანეთს. ამ შეუსაბამობამ შეიძლება არსებითი როლი ითამაშოს შეფასებებში, მათ შორის სამართლის მოთხოვნის შეფასებებშიც.

9. სამართლებრივი დადგენილებების განსაზღვრის პრინციპი. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დადგენილებები საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ სამართლებრივი დადგენილებები. მაგრამ ამ შემთხვევაში საუბარია „ლაბორატორიულ“ სიტუაციაში სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის ქცევაზე. რესპონდენტს ეძლევა კონფლიქტური სიტუაცია, რომელიც მან უნდა გადაწყვიტოს. ფაქტიურად საუბარია მთელი დაგროვილი მასალის შეფასებაზე. ამ შემოწმებისას შესაძლებელია აღმოჩნდეს როგორც პოზიტიური, აგრეთვე ნეგატიური ფაქტები. თუმცა მთლიანობაში შემოთავაზებულმა სიტუაციებმა ჯამური სახით მოგვცა არსებული შეფასებების საბოლოო სურათი.

## დასკვნა

საზოგადოებრივი აზრის თანამედროვე მდგომარეობის შესწავლა პრაქტიკაში უფლებების გამოყენების შესახებ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი შედეგების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ იმის შესახებ, თუ რამდენად სწორ და ეფექტურ ორიენტაციას აძლევს მოქალაქეებს ამ სფეროში მართწესრიგის ახალი სისტემა, არამედ ჩამოყალიბებული დებულებები თვალნათლივ გვიჩვენებს სამართლებრივი აღზრდის სისტემის შედეგობრიობას, სამართალშეგნების რეგულირების მექანიზმს.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. Основы борьбы с организационной преступностью. М.: «ИНФРА-М», 1996, ст. 237-298.
2. С.Н. Иншаков Зарубежная криминология. М. 1997, с. 251-252.
3. H. Tocb, Pefcekeeping: Police, Prisons and Violence. Lexington-Toronto 1977.
4. Право и социология. М, «Наука», 1973г., с. 275-284.
5. საკუთარი აზრი და დანაშაული. თბ., „მეცნიერება“, 1984წ. გვ. 120-137.
6. გ.ყვარელაშვილი. არასრულწლოვან მსჯავდებულთა ქცევის დეკრიმინალიზაციის პრობლემები. თბ., 1996, გვ. 113 – 124.
7. მ.ბაძაღუა. ჯგუფური დანაშაულობა. თბ. 1998 წ.
8. Право и социология. М., «Наука», 1973, с.275-284
9. ი. გიძიაშვილი. საზოდადოებრივი აზრი სიკვდილით დასჯის შესახებ, - პარლამენტის მრჩეველთა დამოუკიდებელი საბჭოს უწყებანი. 1997წ, №1, გვ. 55-59.